ცნობის ფურცელი

№ 1824 პარასკევი, 31 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1824

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის ნაჭურჭლი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და სალვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ**. (45—31)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ ხედივანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. ხედივანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. კ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ნ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. ხედივანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ტოინო—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-სკოპიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინძელისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების ამოსარჩევად დაინიშნა არტისტიულ საზოგადოების შენობაში 5 ივნისს, საღამოს 8 საათისთვის.

საწევრო ფულებს იღებენ გამგეობის ყოფილი წევრები. (რ. 3—1)

ცინკოგრაფია

ტიფლის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საზღვარ-გარეთ

ინგლისი. რუსული გაზეთები, განსაკუთრებით „ნოვოე ვრემია“ ამტკიცებდნენ, რომ მთელი სამხრეთ აფრიკის ომიანობა გამოწვეული იყო ტრანსვაალის მადნებისა და ფულის ინტერესით. ეხლა კი იგივე „ნოვოე ვრემია“ იძულებული შეიქმნა სულ სხვა აზრი გამოეთქვა იმავ ომიანობის მიზეზის შესახებ: „ტრანსვაალის ოქროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ კითხვაში. ომი დაუჯდა ინგლისს $2^1/_4$ მილიარდი მანეთი. თუ ამას მივუმატებთ ყველა იმ ხარჯებს, რომელიც ინგლისის მთავრობამ უნდა მოახდინოს სამხრეთ-აფრიკაში, ადვილად შესაძლებელია, რომ ბურების რესპუბლიკების დაპყრობა დაჯდება არა ნაკლებ სამის მილიარდისა. თუ სამ პროცენტს ვიანგარიშებთ, ინგლისმა უნდა იხადოს წლიურად 90 მილიონი მანეთი, ე. ი. ორჯელ მეტი, ვიდრე ტრანსვაალს ჰქონდა შემოსავალი თავის ისტორიის საუკეთესო ხანაში. ეს „ციფირები ცხადათ ამტკიცებენ, რომ ფინანსების მხრივ სამხრეთ-აფრიკის ომიანობა ინგლისისათვის მეტად საზარალოა, რაც იმ თავითვე კარგად იცოდნენ ომის გამომწვევლებმა. ამგვარად ოქრო კი არ ყოფილა მიზეზი, რომ ინგლისელები ასე სცდილობდნენ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების დამორჩილებას. მიზეზი იყო სურვილი სამხრეთ-აფრიკის გაერთიანებისა ინგლისელების ბატონობის ქვეშ, რაც აუცილებელი პირობაა აფრიკის დიდ იმპერიის შექმნისათვის დიდ-ბრიტანიის დროშის ქვეშ. ჩემბერლენისა და მის თანამგრძნობთა ალმაფრთოვანებელი იყო ოცნება ინგლისის გაბატონებისა მთელ აღმოსავლეთ აფრიკაზე ქაირიდან კაპამდე. ამ დიდებულმა იმპერიალისტურმა იდეამ, რომელიც ასე ახლოა ყოველ ინგლისელისათვის, შარვანდედით შემოსა ჩემბერლენი და ყველასათვის საყვარელ კაცად გახადა იგი. ეხლა დიდი-ბრიტანიის დროშა ფრიალებს მთელ. სამხრეთ-აფრიკაში და ეს არის მიზეზი ინგლისის ერის ეხლანდელ სიხარულისა. რუსული გაზეთი, რომელიც ასე გვიან მიხვდა სამხრეთ-აფრიკის საშინელ დრამის მიზეზს, სცდილობს ჩაამწაროს ინგლისელებს მათი სიხარული შემდეგის სიტყვებით: „გამარჯვებით დამთვრალ ინგლისს, რასაკვირველია, არ შეუძლია ეხლა ჩაუფიქრდეს კითხვას—რამდენად მტკიცეა რესპუბლიკების შეერთება, ან დაივიწყებს კი ბურების ერი, რაც ინგლისელებმა დამართეს, ან შეურიგდება კი იგი დამოუკიდებულობის დაკარგვას?“

ერთი კია ცხადი, თუ ვისმე შეუძლია დაპყრობილ ერის სამართლიანი მოპყრობა და მისი თავისთან შერიგება,—ეს ისევ ინგლისის ერია.

გერმანია. ფრანგულ გაზეთ „ფიგარო“-ს თანამშრომელს ლაპარაკი ჰქონია გერმანიის კანცლერ ბიულოვთან პოლონელების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაზე. „გონება მახვილ“ გერმანელ პოლიტიკოსს შემდეგი ყოვლად უნამუსო შედარება უხმარია თავის აზრის გამოსათქმელად: „თუ ამ ბაღში, რომელსაც თქვენ ეხლა ხედავთ, შეუშვებთ ათ ყურდღელსა და ხუთ ბაჭიას, მომავალ წელს აქ იქნება 15 ყურდღელი და 100 ბაჭია. სწორედ ბუნების ამ გვარ მოვლენას ვებრძვით ჩვენ იმ ადგილებში, სადაც პოლონელები სცხოვრობენ, რათა დავიცვათ ჩვენი (გერმანული) ეროვნება და ტერიტორია“.

ამ გვარად, ბიულოვის შეხედულებით, პოლონელების კითხვა პრუსიაში პოლონელების რაოდენობის კითხვაა. საინტერესოა, რომ გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ“-ი, რომელიც პოლონელების მეგობრების რიცხვში ვერ ჩაითვლება, სასტიკად ჰკიცხავს ბიულოვს და მის შედარებას რიგიანობის მოკლებულად სთვლის. „საკითხავია, რატომ პრუსიის სეიმში არ იხმარა ბიულოვმა ეს შედარება, როცა იქ ლაპარაკი იყო $^1/_4$ მილიარდის გადადებაზე პოლონელების მამულების შესყიდვისათვის? უეჭველია, კამათი, უფრო ცოცხალი და საინტერესო იქნებოდა. პოლონელები რომ გერმანელებზე უფრო მრავლდებიან, ეჭვს გარეშეა, მაგრამ თუ პოლონური კითხვა მართლა გამრავლების რაოდენობის კითხვაა, საკოლონიზაციო ფონდის გაძლიერება ვერაფერი საშუალებაა ამ მოვლენის წინააღმდეგ. თუ ლოღიკურათ ვიაზროვნებთ, უნდა ამოვირჩიოთ ის საშუალება, რომელსაც ბაჭიების გამრავლების წინააღმდეგ ხმარობენ. მაგრამ, რადგანაც თოფით ამოჟლეტა ამ ცხოველებისა ბარბა-

ფელეტონი

რამდენიმე სიტყვა ქართველთა ძველი ადათების შესახებ

I

კიდევ წერილი „სასულიერო მახარობლის“ უკანასკნელ (7—8) ნომერში ჩვენი ძველი ადათების წინააღმდეგ! მთიულების ზოგიერთ ადათებს, მაგალ. „დეკანოზებისაგან“ ერის დამწყალობლებას, უკანასკნელთაგან პირველისადმი პატივისცემას და ყოველივე მას, რითაც ერი გამოსთქვამს ამ პატივისცემას, მღვდ. დ. მჭედლიძე უწოდებს „კერპთთაყვანის მცემლობას“, „ქრისტიან. სწავლის წინააღმდეგ ადათებად“. საყურადღებო არის, რომ მ. მ—ძე ამა ნ სხვა ადათების დ ცრუმორწმუნეობის მოსასპობლად საჭიროდ სთვლის ადმინისტრაციის დახმარებას. ვიდრე წერილს განვაგრძელებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ აქ, რომ, ჯერ ერთი, კაცმა არ უნდა მსჯელობა გასწიოს იმისთანა საგანზე, რომელიც მას კარგად არ ესმის და მეორე—საქმე წერვა და წერილის ბოლოში სრული გვარის მოწერა-კი არ არის, არამედ იმაშია, რომ მან ასწონ-დასწონოს ყოველი სიტყვა და აზრი, და მერე, თუ დარწმუნდა, რომ მისი აზრი სხვას სარგებლობას მოუტანს და არა ვნებას, შეუძლიან ხმა-მაღლად სთქვას, რაც გულში უძევს. წინდახედულობა და თავის ერისადმი სიყვარული მოითხოვს ვიხსენიოთ მოძმენი თავისის ნაკლულევანებით პატივისცემით და არა დავყივინოთ მას, გავაზვიადოთ ფაქტები და მივაწეროთ დაუმსახურებელი ეპიტეტები... მ. მჭედლიძემ და სხვებმა, რომელთაც პოლიციის დახმარება საჭიროდ მიაჩნიათ რელიგიური ადათების მოსასპობლად, რომ იცოდნენ რუსეთის და ევროპის „სექტანტების“, „რასკოლნიკების“, „პროტესტანტების“ „გუგენოტების“ და სხვათა ისტორია, მაშინ ეგრე აღარ ილაპარაკებდნენ. გავიხსენოთ რა მოხდა ევროპაში, როდესაც კათოლიკეთა სამღვდელოებას დაეხმარა რელიგიურ ბრძოლაში მმართებლობა. რა საჭიროა მაგალითების შორს ძიება; ავიღოთ თვით ქრისტიანობის გავრცელების ისტორია პირველი სამი საუკუნის განმავლობაში. ვინ ჩამოსთვლის კონსტანტინე დიდ-ტანჯულთ რიცხვს!.. ისე სასტიკად რომ არ ედევნათ ქრისტიანები, იქნება ქრისტეს სწავლა არც კი გავრცელებულიყო ასე სწრაფად. ყველამ ვიცით, თუ რა ენით და კალმით აუწერელ სატანჯველებს იგონებდა იმპ. ნერონი და მისებრ ბახუსის თაყვანისმცემელნი ქრისტიანებისათვის. მერე რა? ნერონს ეგონა ქრისტიანები მთლად ამოვწყვიტეო და ის კი არ იცოდა, რომ თვით იმ პატრიციებში, რომელნიც მას გარს ეხვივნენ და უქებდნენ არტისტულს ნიჭს, არა ერთი ქრისტიანი მოიძიებოდა. ესა და სხვა მრავალნი ისტორიულნი და აწინდელი მაგალითები ჰმოწმობენ, რომ კაცის რწმენას, განსაკუთრებით კი რელიგიურს, ფიზიკურის ძალით არ უნდა ეწინააღმდეგო; რამდენადაც მომეტებულად დაუწყებ დევნას კაცს რწმენისათვის, მით უმეტესად შეჰქმნი მას მტკიცედ თავის რწმენაზე. რუსეთის „სექტანტები“ ამბობენ: „ქრისტემა ბრძანა, რომ მართლისთვის დევნულ იქნებითო“, და ჩვენ მიტომ გვდევნიან, რომ ჭეშმარიტს სწავლას აღვიარებთო“, ასე ჰგონიათ, თორემ ეხლა მათ არავინ სდევნის. ერთხანად რუსეთში „სტაროვერები“ (ძველის რჯულისანი) დევნამ ისე გააბრაზიანა, რომ მათ დაიწყეს შეყრილობის მართვა, უკიდებდნენ სახლებს თავიანთი ხელით ცეცხლს და ასობით იბუგებოდნენ შიგ, ამასთან იგინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქრისტეს ჩქარა შეუერთდებოდნენ. მაგალითები ჩვენი წარსული ცხოვრებიდანაც მოიყვანება,—მტკიცედ იყვნენ ჩვენნი წინაპარნი ქრისტიანობაზე მისთვის, რომ მათ და მათ საყვარელ მეფეებს, დედოფლებს და წარჩინებულთ აწამებდნენ მაჰმადიანები. შაჰები და სულთნები შორს მჭვრეტელობას და გონივრულს პოლიტიკას მოკლებულნი არ ყოფილიყვნენ, შესაძლოა, რომ ჩვენ ეხლა მაჰმადიანები ვყოფილიყავით. მოყვანილი მაგალითებით, ვიმეორებ, მე იმის თქმა მინდა, რომ რელიგიური კითხვების გარჩევ-გადაწყვეტილებაში ძალდატანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ფანატიკოსობა და იეზუიტობა ხომ მუდამ დასაწუნია. დღეს მთიულები დამშვიდებით ასრულებენ მამა-პაპურს ამა თუ იმ ადათს, ვამბობთ დამშვიდებით მიტომ, რომ ამ ადათების შესრულებით მათ არავისთვის ვნება არ მოაქვთ. *) ეხლა კითხვა იმაშია, იგივე მთიულები დარჩებიან თუ არა მშვიდ მაყურებლებად, თუ ავუკრძალეთ „დეკანოზებს“ წესების შესრულება? ვინ დაგვარწმუნებს, რომ აქ ძალის ხმარება რაიმე მოულოდნელს უსიამოვნებას ანუ უბედურებას არ გამოიწვევს? თითონ მ. მჭედლიძეს მოჰყავს ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებელი მაგალითი. ამ მაგალითით მას ჰსურს დაგვარწმუნოს, რომ პოლიციის დაუხმარებლად „დეკანოზების“ მოსპობა შეუძლებელია. ჩვენ-კი ამ მაგალითიდან სხვა დასკვნა გამოგვყავს. „ერთხელ ლომისობასო, —ამბობს მ. მ-ძე,—ბევრი ხალხი შეიკრიბაო. მღვდელმა საძაგლიშვილმა აუხსნა ხალხს დღეობის მნიშვნელობაო, და რა მოჰკიდა ხელი ხატსაო (დეკანოზის მაგიერ), ხალხი აღელდაო და **უეცრად ერთ-ხმად დაიძახაო:** „დედა შეერთოს ცოლად, ვინც ეს (ღვდელი) არ მოჰკლასო“ (აბა, ეს რომ ტყუილია, ამაში ეჭვი არ არის. ქართველები ამ შემთხვევაში ჯერ არ იტყოდენ ამისთანა სიტყვებს ეკლესიასთან და თუ იტყოდნენ, კიდეც შეასრულებდნენ მუქარას. ამისთანა გამოგონებით ჩვენს თავზედ ჩვენვე ვისხამთ ლაფს.

---

*) საერო მთავრობას მღვდელმა მარტო მაშინ უნდა მიჰმართოს, როდესაც რომელიმე ადათის შესრულება არღვევს მრევლში მშვიდობიანობას (იხ. Духовный Регламентъ, ч. II, § 1—10). თუ რა საშუალებით უნდა მოსპოს აღვდელმა მავნე ადათები და ჩვეულებანი იხ. Указъ св. Синода отъ 15 апр. 1845 г. № 157.

როსობა იქნებოდა ეხლანდელ სახელმწიფოს მხრივ, განა არ შეიძლებოდა გვეხელმძღვანელა პოლონელების გამრავლების საქმეში მოწესრიგების იმ პრინციპით, რომელსაც ასე კარგი შედეგი აქვს ეკონომიურ გადამეტებულ წარმოების საქმეში? კარგი შემოსავალიც ექნებოდა სახელმწიფოს, თუ დიდ ჯარიმებს დაადებდა იმათ, ვისაც კანონით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი შვილი ეყოლებოდა, და ის ფულებიც შეგვრჩებოდა, რომელიც ეხლა პოლონელების ადგილების საყიდლად უნდა გადაიდოს.

ბ. ბიულოვი იცავს გერმანიის ტერიტორიას. მაგრამ განა პოლონელები უცხოეთიდან მოსულები არიან? პოლონელებისათვის არავის უკითხავს, როცა მათი მამული პრუსიის სამეფოს შეუერთეს. რამდენიმე თაობა პოლონელებისა პრუსიის ქვეშევრდომია და ქვეშევრდომადაც უნდა დარჩნენ. მაგრამ სწორედ ამიტომ არის, რომ მათზე ვრცელდება საკონსტიტუციო უფლება და ყოვლად შეუძლებელია ავუკრძალოთ მათ გამრავლება და ადგილ-მამულის შეძენა“.

ნახევრად ოფიციალური და შოვინისტური ორგანო «რაიხსბოტე“-ც კი უკმაყოფილოა: „ჩვენც არ მოგვეწონა ეს შედარება. ბ. კანცლერი არ ჩაიდენდა ასეთ უტაქტობას, რომ იგი უფრო აფასებდეს ზნეობრივ იდეალებს. პოლიტიკაში“-ო.

პოლონელები გამოცდილი მეომრები არიან და საკოლონიზაციო ფონდის გაძლიერებას მამაცურად დახვდნენ. მათ არ აშინებს მომავალი, რადგან ხალხი შეგნებულია და იცის რისთვის როგორ იბრძოლოს.

✡ როგორც ვიცით, ვრეშენში მომხდარ ამბების გამო, რუსეთისა და გალიციის პოლონელებმა მოინდომეს მოესპოთ სავაჭრო დამოკიდებულება გერმანელებთან. ბევრს უტოპიად მიაჩნდათ ასეთი სურვილი და მართლაც სავსებით მისი განხორციელება შეუძლებელიც არის, მაგრამ ბევრის მოხერხება შეიძლება. როგორც „პეტ. ვედომოსტი“ იტყობინება, რუსეთის პოლონეთშიაც და გალიციაშიაც ფეხი მოიკიდა გერმანულ საქონლის ბოიკოტმა. სხვათა შორის, იოჰან ფაბერის აქციონერულ საზოგადოების ახალმა კანტორამ ნიურნბერგში ცირკულიარით მიმართა პოლონელ მუშტრებს, რომელშიაც იგი აცხადებდა, რომ მათი ფაბრიკა ბავარულია და არა პრუსიული, და იგი არა თანაუგრძნობს პრუსიის პოლიტიკას პოლონელების წინააღმდეგ.

ახალი ამბავი

◆ სახალხო სასწავლებელთა დირექციამ მისწერა ტფილისის საქალაქო გამგეობას, რომ საქალაქო სასწავლებელთა **ეგზამენებზე დასწრების ნება აქვთ** მხოლოდ ქალაქის თავსა და ქალაქის გამგეობის წევრთ.

◆ ტფილისის **კადეტთა კორპუსი დაასრულა** წელს 41 კაცმა; ამათგან 9 ქართველმა, ამათი გვარი და სახელი: თავ. გიორგი ბაგრატიონ მუხრანსკი, მიხეილ გურამიშვილი, თავ. დავით ვაჩნაძე, ნიკ. აბულაძე, თავ. ნიკ. ვაჩნაძე, თავ. ალექსანდრე გედევანიშვილი, ერჯევან ანანიაშვილი, თავ. გიორგი სუმბათაშვილი და იოსებ მამაცაშვილი.

◆ წელს ტფილისის სასულიერო **სემინარია დაასრულა** 22 კაცმა, ამათგან ცხრა კაცმა პირველისა და დანარჩენებმა მეორეს ხარისხით. მოგვყავს აქვე სემინარიაში კურს დასრულებულ მოსწავლეთა გვარები:

გ. ბიბილური, ალექსანდრე, ბიუჩკოვი, პავლე გარსიაშვილი, არჩილ დვინიაშვილი, ალექსანდრე, გურგენიძე ივანე, ილარიონი და ნიკოლოზ ივანოვები, ვლადიმერ ქოქიაშვილი, პანტელეო კახურინი, ივანე და ნიკოლოზ კლიონოვები, ვასილ ლიაძე, პეტრე ლისეცკიი, გრიგოლ მუხაძე, ნიკოლოზ სლაბოდიანიკოვი, ნიკოლოზ ტროიცკი, გიორგი უმუდუმოვი, ალექსანდრე ხატისკაცი, დავით ხუციშვილი, გაბრიელ ხეთაგუროვი, ბესარიონ წიკლაური, მიხეილ თამანაური.

პირველის ხარისხით ყველაზე წარჩინებულად სწავლა დაასრულა დავით ხუციშვილმა. კურს დასრულებულთაგან 14 ქართველია.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, გუმბრში მომავალ სექტემბრიდან გაიხსნება **საკომერციო სასწავლებელი;** დირექტორად აურჩევიათ ადესის საკომერციო სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ნემიროვსკი, რომელიც უკვე ჩამოვიდა გუმბრში. როგორც გვწერენ, საქმე ცოტა შეფერხდა, რადგან ხარჯთ-აღრიცხვით გამოანგარიშებულ ფულს დააკლდება 2000 მან., რომლის ყოველ წლიური გადახდა ერთმა ვაჭარმა იკისრა, მაგრამ შემდეგ უარი სთქვა.

◆ როგორც გვატყობინებენ, ქალაქ ბაქოში ტაგიევის სახელობაზე დაარსებულ **მაჰმადიან ქალთა** პროგიმნაზიაში გაუხსნიათ ახალი განყოფილება, სადაც სპეციალურად შეასწავლიან მოსწავლე ქალებს ხალიჩების საკეთებელ მასალის დამზადებასა და ხალიჩების აღმოსავლეთურ გემოზე ქსოვა-კეთებას.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობისა და განსაკუთრებულ კომისიის შეერთებული სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 29 მაისისათვის და რომელზედაც უნდა განეხილათ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლისათვის** ახლად შემუშავებული წესდების პროექტი, არ შესდგა, რადგანაც სხდომას არ დაესწრო კომისიისა და გამგეობის წევრთა საკმაო რიცხვი.

◆ 27 მაისს ტფილისის საქალაქო სკოლების გამგეთ სკოლების ექიმებთან ერთად კრება ჰქონდათ, რათა განეხილათ სოლოლაკის საქალაქო სკოლის გამგის ბ. ფირუმოვის პროექტი **ქალაქის სასწავლებლებში ჰიგიენაზე პოპულიარულ საუბრის შემოღებისა.** კრებამ სასურველად სცნო ჰიგიენაზე საუბრების შემოღება და დაადგინა ეთხოვოს პროექტის ავტორს ბ. ფირუმოვს, უფრო დაწვრილებით შეიმუშაოს თავის პროექტი და შემდეგ წარუდგინოს სამოსწავლო კომისიას.

◆ უმაღლესის ბრძანებისამებრ, საერო განათლების სამინისტრომ ამას წინად სავაჭრო-სამრეწველო ტიპის სასწავლებლების მთავრობათ დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილებანი იმის შესახებ, რომ მათ სასწავლებლებთან მოწყობილ იქნას **სანერგე ბაღი,** სადაც მოსწავლე ახალგაზდობისათვის გაიმართოს ხოლმე ხეთა ნერგვის დღესასწაული, რომელ დროსაც ყმაწვილები შეისწავლიან კიდეც ხეხილეულობის მოვლა-მოშენებას. ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტს წარსულ თვეში განუხილავს ეს მოწერილობა და გადაუწყვეტია, რადგანაც აღნიშნულ მიზნისათვის მოხერხებული ადგილი არა აქვს საკომერციო სასწავლებელს სკოლის ახლო, ამიტომ შუამდგომლობა აღძრან ტფ. საქალაქო თვითმართველობასთან, რომ დაუთმოს კომიტეტს ერთი ნაჭერი ადგილი მოხერხებულ ადგილას.

◆ განჯის გუბერნიაში ახლად დაჰყვეს და მოაწყვეს 30 **სამოსახლო ადგილი** რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის.

◆ ქ. გუმბრში 1-ლ მაისიდან დაიწყო მოქმედება **საქალაქო ბანკმა.** პირველ ხანებში საწარმოებელი თანხა 13 ათასი მანეთია.

◆ ნ. კ. ბოკილიონმა და ნ. გ. ქართველიშვილმა მიმართეს თხოვნით ფინანსთა მინისტრს, განსაკუთრებული ნება მიეცეს იმათ, რომ **ტფილისში გახსნან საყოველდღეოდ საჭირო სანოვაგე-სურსათის უმთავრესი ბაზარი** თავის განყოფილებით ხუთის წლის ვადით. დაწვრილებით შემუშავებული სრული პროექტი ამ კითხვისა ჯერ არ არის შემდგარი, ხოლო ამ საქმის საზოგადო კითხვები შემდეგია: ცენტრალური ბაზარი ცალკე უბნების ბაზრებს აწვდის ყოველდღიურ სახმარებელ სანოვაგეს სულ ახალს ნარდად ანუ ერთიანად და იმ ფასით და პირობებით, რომელიც უბნის ბაზრებში იქნება. ამ ბაზრებში უმთავრესად ივაჭრებენ თვით მწარმოებელნი, იმ პირობით კი, რომ შემუშავებულს წესდებას დაემორჩილონ. წესდების ძალით სასტიკი ყურადღება იქნება მიქცეული სანოვაგის ავ-კარგიანობას. სურსათის ფასებს ხშირად გადაათვალიერებენ და შესცვლიან დროების პირობათა მიხედვით. სავაჭრო სადგომები იქნება აშენებული ჰიგიენის ყოველის წესით და ყველა ნაწარმოებისთვის ცალკე მშვენივრად მოწყობილი; ეს სადგომები გაიცემა ბევრად იაფად, ვიდრე დღეს არის და, ბოლოს, ბაზრების მოვლა, შენახვა, როცა ვაჭრობა არ არის, აგრეთვე სასტიკი ყურადღება სისუფთავეზე და წესრიგზე დაევალება ბაზრის ადმინისტრაციას, რომელსაც საქმის მოთავენი ამოირჩევენ.

ამ დაწყობილების მიზანია, ერთის მხრით დაეხმაროს ქალაქის მცხოვრებთ, რომ საჭირო სანოვაგე შეიძინონ, რაც შეიძლება, ახალი და ზომიერის ფასით, მეორეს მხრით-დაეხმარონ ამ სანოვაგეთა მწარმოებლებს, გლეხ-კაცებს და სოფლის მეურნეებს, რომლებიც ჩარჩ-ვაჭრების წყალობით თავის ნაწარმოებში ხშირად ნახევარ ფასსაც ვერ იღებენ.

ამ ჟამად ტფილისის გუბერნატორმა, ამ შუამდგომლობის გამო, დაავალა ტფილისის პოლიცმეისტერს, წარმოადგინოს თავისი დასკვნა ამ საქმის შესახებ.

◆ ტფილისის საქალაქო გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა თხოვნა საბჭოს აწ გარდაცვალებულ ექიმის ტერ-ასატუროვის ქვრივისა **პენსიის დანიშვნის შესახებ.** გამგეობამ შეიწყნარა დარია ტერ-ასატუროვის თხოვნა და დაუნიშნა ქალაქის საშუალებიდან მისი ქმრის 18 წლის სამსახურისათვის ყოველ წლიურ პენსიად 400 მან.

◆ კავკასიის შინად-მრეწველობის კომიტეტს უკვე დაუსრულებია გამოკვლევა ბაქოს გუბერნიის **ყუბინის მაზრაში ხალიჩებისა** და შინად-მრეწველობის სხვა ნაწარმოებისა და ამ მოკლე ხანში კიდეც გამოსცემს თავის ხარჯით ამ გამოკვლევას.

◆ ყუბანის ოლქში უნდა დაწესდეს მაგარ **სასმელების სახაზინო მონოპოლია.** სპირტის ქარხნები გაიხსნება ქალაქებ ეკატერინოდარში, სტ. კავკაზსკაიაში და არმავირში. რადგანაც დუქნების გახსნის ნება-რთვას უწინ კაზაკთა მმართველობა აძლევდა და ამაში ერთ მილიონზე მეტ ფულს იღებდა და რადგანაც ამ ფულით ბევრ სასწავლებელს ინახავდნენ, ამიტომ ყუბანის ოლქის უფროსი სთხოვს მთავრობას 800 ათასი მანეთი მიეცეს ხსენებულს მმართველობას სკოლების შესანახად.

◆ სადგურ რკვიადან—ქიათურის რკინის გზისა—იუწყებიან, რომ 29 მაისს 20 ვერსზე **საქონლის მატარებელი №-313 დაიმტვრა.** დაჭრილია კონდუქტორი კიმჩენკო, ოთხი ვაგონი დამსხვრეული, მათგან ორი სავსე;

სირცხვილია!), და დაუწყო შემოსილ (ისიც შემოსილს!) ღვდელს ქვების სროლაო (ესეც არ არის დასაჯერი, იმ მუქარის შემდეგ მღვდელს სტაცებდნენ ხელს და ფეხ ქვეშ ამოიდებდნენ). გაბრაზებული ხალხი მას უეჭველად მოჰკლამდაო,—განაგრძობს მ. მ-ძე,—რომ ღვდ. საძაგლიშვილი ეკლესიაში არ ჩაკეტილიყოვო. ხალხი მაინც ჩაამტვრევდა საყდრის კარს და ღვდელს მოჰკლამდნენ მაგრამ სხვებმა დაიხსნესო...“ ჩვენა გვჯერა, რომ ამისთანა შემთხვევას ექნებოდა მთიულეთში ადგილი, ხოლო მ. მჭედლიძე გარემოებას სწორედ არ გადმოგვცემს. მაგრამ საქმე ამაში-კი არ არის, არამედ იმაშია, რომ ხალხი აღელვებულა, როდესაც მღვდელს ხატის დასაკუთრება დაუპირებია. აქედან სჩანს, რომ მთიულები ადვილად არ მიატოვებენ თავიანთს ადათებს: ძალას ძალითვე გაუწევენ წინააღმდეგობას, მოხდება შეტაკება, ზედ დაერთვის თავპირის მტვრევა, კაცის კვლა, სამსაჯულოებში საქმეების რჩევა და სხ. ჩვენი ხალხი ზოგჯერ ითმენს ხოლმე შეწუხებას, შეიძლება ძალას ის დაჰმორჩილდეს, მერე გვეკადრება კი ვისარგებლოთ მისი მოთმინებით? შეგვშვენის კია წავართოთ ძალით ის, რისაც ასრულებას იგი სთვლის სალმრთო მოვალეობად?.. „პოლიციურნი საშუალებანი,—სთქვა რუსეთის განათლებულმა მიტროპოლიტმა გრიგოლიმ,—ჩვენი საშუალებანი არ არიან, წმ. მოციქულნი და მამანი მოქმედებდნენ ჭეშმარიტის სიტყვის ძალით და არა პოლიციის დახმარებით. ეკლესიისთვის რაიმე მავნე ადათის მოსასპობლად საშუალება ეკლესიაშივე უნდა მოიძიოს და არა გარეთ“. და ეს საშუალება არის—მხოლოდ სიტყვა, სიტყვა ჰკუიანური და ტკბილი ენა. და თუ კაცმა კეთილ განზრახვაში ჰკვიანურის სიტყვით ვერა გააწყო-რა, ეს იმის ნიშანი კი არ არის, რომ, როგორც ფიქრობს მ. მ—ძე, ეს საშუალება უვარგისია, არამედ იმისია, რომ ალბათ ჯერ დრო არ დამდგარა ამა თუ იმ აზრის განსახორციებლად. რა საჭიროა „დეკანოზების“ მოსასპობლად პოლიციის მიწვევა? რიღის მაქები ვიქნებით ჩვენ, მღვდლები, თუ ჩვენ ხალხს პოლიციას მივაყენებთ?... შესაფერი სათქმელი ვთქვათ, საქმით-კი დავუმტკიცოთ, რომ ჩვენა გვსურს ერისთვის კეთილი და არა ბოროტი, დანარჩენ შემთხვევაში-კი მივენდოთ დროების ძლიერ ტალღებს, როგორათაც ავადმყოფი გამოჩენილს ექიმს,—ჩასანთქავს იგი ჩანთქავს, დასარჩენს დაარჩენს. „დეკანოზობა“ და სხვა მთიულების ადათები-კი არა, იქნება მან ისეთი რამეც ჩაჰყლაპოს, რომლისაც შერყევა დღეს ჩვენ ისევე ვერ წარმოგვიდგენია, როგორათაც ლორწომა *) კლდისა. უწინ ქსნის ხევის ყველა სოფლებში იყვნენ „დეკანოზები“, ეხლა-კი იგინი ზოგ-ზოგან-ღა არიან; მოისპნენ იგინი თითონვე, სხვის დაუხმარებლად. ჩემს ბავშვობას, ესე 22—23 წლის წინათ, სოფელ. იკოთში ღვდლობდა ბ. ო—ძე. ეს იყო კაცი მხიარული, მჭევრმეტყველი, ღვთისნიერი და ხალხის მოყვარე; ერსაც უყვარდა ის და პატივსა სცემდა. მ. ო—ძეს შემდეგ ამ სოფელში დანიშნეს მ. კ—ძე. ეს იყო მოხუცი და არ იცოდა მოძღვრება და დალაგებული ლაპარაკი მ. ო—ძეს დროს სადღაც მიმალულმა „დეკანოზმა“, გლეხმა გაბრიელ გვრიტიშვილმა, მ. კ—ძეს დროს იჩინა თავი. მიზეზი ამისი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ მ. კ—ძე ამწყალობლებდა ერს უგულოთ, იმეორებდა ერთსა და იმავე გაზეპირებულს სიტყვებს, მოხუცებულობისაგან მას თავისი მედავითნის სახელიც კი ავიწყდებოდა, არა თუ მრევლისა. „დეკანოზმა“ გაბრიელმა კი, როგორათაც ადგილობრივმა მცხოვრებმა, არამც თუ სახელები, არამედ ყველას გულის პასუხიც კი იცოდა, იცოდა ვინ რისთვის სწირავდა წმ. გიორგის კურატს, თოხლს, ქადას და სხ. როდესაც ღვდელი დაიღალებოდა, გაბრიელი ჩამოართმევდა ხოლმე ჯვარს წმ. გიორგის სურათით, მიაპყრობდა საყდრის კედლებს თვალებს და დაიწყებდა ლოცვას, რომლისაც სიტყვები კაცს პირდაპირ გულში ხვდებოდა. აი ნიმუში: „წმ. გიორგი პატიოსანო,—დაიწყებდა გიბრიელი,—მფარველო იკოთისაო! რაჟდენ გიგნიაშვილს შარშან შვილი ავათ გაუხდა, იმან აღგითქვა, თუ შვილი მოურჩებოდა, ღამის თევა, კურატი და უზალთუნიანი სანთელი; შენ შეიწყნარე მისი ვედრება: მოურჩინე შვილი. რაჟდენა თავის ოჯახობით გხლებია და მუხლ მოდრეკით გევედრება მიიღო საწირავი და თან გაატანო შენი წყალობა. მწყალობელი იყავ და შეეწიე მას“! „ამენ“! დასძენდა ხოლმე მთელი ერი ერთ ხმად. მ. კ—ძეს შემდეგ იკოთში სამი ღვდელი გამოიცვალა, დღეს კი ამ სოფელში „დეკანოზი“ აღარ არის. საყურადღებოა, რომ იმ სოფლებში, რომელნიც ტფილისთან ახლოს არიან, სრულიად მოისპნენ „დეკანოზები“, ხოლოთ მოშორებულს და მივარდნილს სოფლებში კი კიდევ არიან, თუმცა იგინი თან და თან ჰკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. ესევე იქნება თავის დროზედ ყველგან და კერძოთ ჩირიქშიაც, საიდგანაც მ. მჭედლიძე იწერება.

II

ყველა ხალხშია,—თვით განათლებულს ევროპიელებშიაც-კი,—გავრცელებული ცრუ მორწმუნეობა. ცრუ მორწმუნეობანი შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: მავნებელნი და უვნებელნი. მაგალ. მავნებელია შემდეგი ცრუ მორწმუნეობა: ხუთშაბათობით ტფილისის მამა დავითის ეკლესიას ქალები აკრავენ ხოლმე კენჭებს,—თუ მიეკრა, კარგი ნიშანია, თუ არა-და—ცუდიო. ეს ცრუ მორწმუნეობა მავნებელია, რადგანაც იჩხაპნება საყდრის კედლები. „დუხობორებში“ (რუსის სექტანტები არიან) აი რა საძაგელი და საზიზღარი ცრუ მორწმუნეობა სუფევს: თუ მიცვალებული რამდენიმე ხნის განმავლობაში არ ცივდება, ეს იმის ნიშანია, რომ მკვდარზე გადურბენია კატას ანუ გადულაჯებია ცოდიანს კაცს. რომ მიცვალებული ჩქარა გაცივდეს, უნდა გამოეჭრას მას იარაღით ყანყრატო, მაშინ ის ღორივით დაიღრუტუნებს და ჩქარა გაცივდება. თქმა არ უნდა, აქ ლაპარაკია ლეტარგიულ ძილზე და არა ნამდვილს სიკვდილზე *). დედაკაცები მოქნარების დროს პირზე ჯვარს გამოისახავენ ხო-

---

*) დიდი კლდეა დუშეთის მაზრაში.

*) იხ. ჩვენი სტატია, „Славянское общество“ Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа, вып. XXVII-ში.

გზა გაფუჭებულია და შეკრული. მიზეზი უბედურებისა ჯერ არ იციან. გზა გაწმინდეს·

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსმა ინჟენერმა ივანოვსკიმ წინადადება მისცა ყველა უფროსებს რკინის გზებზე, ყურადღება მიაქციონ **მიწერ-მოწერის შემოკლებას**, რომელმაც საშინლად იმატა სრულიად უსარგებლოდ.

◆ ამ დღეებში სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს განყოფილებაში ტფილისის საგუბერნიო ხაზინიდან გადმოიტანეს 229,900 მან. ტფილისის **ფოჩტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეთა** დასაკმაყოფილებლად, რომელთაც უნდა დაუბრუნდეს შეტანილ ემერიტალური ფული.

◆ ტფილისში ძაღლების ჭერის მოიჯარადრემ ანდრია სამარინმა განუცხადა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ იგი ქალაქის მაწანწალა ძაღლების ჭერას შეუდგება ივნისის პირველი რიცხვებიდან 15-მდე. პოლიციის მე-10 ნაწილში ძაღლების ჭერა შეიქნება 1, 4 და 5, ივნისს, მე-9 ნაწილში—6 და 7 ივნის, მე-3 ნაწილში—8 და 10 ივნის, მე-4—ში 11 და 12 ივნისს, ხოლო მე-5 ნაწილში—13 და 14 ივნის.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ რამდენიმე ხნის წინად შეიწყნარა ტფილისის მეეტლეთა თხოვნა, რომ მათს ცხენებზე გარდასახადის შეტანის ვადა გადადებულიყო 1 მარტამდე, რათა მით აეშორებინათ ჯარიმის შეტანა გამგეობის კასაში დროზე გარდასახადის შეუტანლობის გამო. ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს შეუძლებლად დაუნახავს საბჭოს ამ გარდაწყვეტილების დამტკიცება, რადგანაც ქალაქი ჯარიმის მიუღებლობის გარდა გადასახადშიაც ზარალობს 1000 მანეთამდის მიტომ, რომ ბევრი მეეტლეები ზაფხულობით ტფილისიდან სულ მიდიან და რაღა ნაირად იგისრებენ გარდასახადს ცხენებზე. აღნიშნულ მოსაზრებათა გამო საკრებულოს არ დაუმტკიცებია საბჭოს გარდაწყვეტილება, ტფილისის გამგეობამ საქალაქო საქმეთა საკრებულოს ეს განკარგულება განიხილა თვის უკანასკნელს სხდომაზე და გარდასწყვიტა წარუდგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს იმ მოხსენებით, რომ განსაჩივრებულ იქნეს საკრებულოს დადგენილება უმართებულეს სენატში.

◆ სულით ავადმყოფთა საქალაქო საავადმყოფოში ამა მაისის 27 რიცხვისათვის ყოფილა 50 სულით ავადმყოფი.

◆ გადამდებ სენით საქალაქო საავადმყოფოში 19 მაისიდან 27-მდე ავად ყოფილა ყელ-ჭირგებით 5 კაცი და დიფტერიტით 3; ამათგან ერთი დიფტერიტიანი მორჩენილა ჯერ მხოლოდ და გამოწერილა საავადმყოფოდან. ამ საავადმყოფოში თავისუფალი ადგილი 21-ია.

19-დან 29 მაისამდე ტფილისში 9 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; ამათგან: წითელათი 4, ყელი ჭირვებით—1, სახადით—1 და ხუნაგით—3. პოლიციის 1-ლ ნაწილში 4 შემთხვევა ყოფილა ავადმყოფობისა, ხოლო მე-6, მე-7, მე 8, მე 9 და მე-10 ნაწილებში თითო შემთხვევა.

◆ შაბათს, 8 ივნისს, სხვა საქმეთა შორის ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს ქ. ნახიჩევანის მომრიგებელ შუამავლის ნიკოლოზ რომანოვსკისას, რომელსაც ბრალდება თავის საყვარლის ლესკოვის ქალის მოკვლა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას 28 მაისისათვის ავლაბრის სამორებში საკლავი საქონელი ჰყავდა სულ 259 სული. ქალაქის სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ალიხანოვს ერთის ვაჭრისაგან შეეკვლია კარგ ფასად 162 სული საკლავი პირუტყვი, რომელთა შესაძენად ალიხანოვმა კიდეც სთხოვა ქალაქის გამგეობას მიეცათ მისთვის ავანსად 3000 მან. აღნიშნულ საკლავ საქონლის სასყიდლად. გამგეობამ ეს მოხსენება განიხილა გუშინ-წინ და გადასწყვიტა მიეცეს ავანსად ალიხანოვს 3000 მ. 162 სული საქონლის შესასყიდლად.

◆ საქალებო საავადმყოფოში 20 მაისისათვის ყოფილა 23 ავადმყოფი ქალი; 27 მაისამდე მიუღიათ 1; აღნიშნულ ავადმყოფებიდან მორჩენილა 9, ასე რომ ამ ჟამად ავადაა სულ 15 ქალი, თავისუფალი ადგილი საავადმყოფოში 40-ია.

◆ პოლიციის 1-ლ ნაწილში, კავკასიის სამხედრო სასამართლოს შენობასთან ტფ. მოქალაქეს იოსებ ბერიძეს უნახავს მიგდებული 9 დღის დაბადებული ბავშვი მამრობითი სქესისა, ბავში ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ როგორც ექიმების შემოწმებით აღმოჩნდა, მარიამ ივანოვისა, რომლის შესახებაც ცნობა ამ დღეებში გვქონდა მოყვანილი, გარდაცვლილა ლოთობისაგან; უკანასკნელად ძალზე დათვრაო და გული გაუსკდაო.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ქუთაისის ინტელიგენციამ ამ მოკლე ხანში რამდენიმე კერძო კრება მოახდინა, სადაც შეიმუშავეს და შეადგინეს ხმოსანთა სია მომავალ 1902—1906 წ. ხმოსნებისათვის, აგრეთვე სია აქვთ შემდგარი მოპირდაპირე მხრისაც, ასე, რომ ის დაუსრულებელი პარტიობა და მითქმა-მოთქმა, რომელიც ჩვენ არჩევნებს აქნობამდის სენად ჰქონდა გადაქცეული, ამ საარჩევნო წლებისათვის თავიდან აცილებულ იქნება, რადგანაც საბჭოში წარმომადგენლები ყოველის წრიდან იქნება განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა.

∽ ზოგიერთ მოძღვრებს თავიანთი სამწყო მიუტოვებიათ და ბინა გაუკეთებიათ ქუთაისში, საიდანაც ისინი ემსახურებიან თავიანთ სამწყოებს. ვინ არ იცის, რომ ეს გარემოება უფრო ზიანს მოუტანს მრევლს, ვინემ სარგებლობას. ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს და ამ დღეებში განკარგულება მოუხდენია და დაუვალებია მოძღვრებისათვის ქუთაისს თავი დაანებონ და უთუოდ თავთავიანთ სამწყსოებში იცხოვრონ.

∽ ქუთაისში, ეგრედ წოდებულს ფერმასთან, ჩამოდის პატარა ღელე, რომელსაც სახელად „რუა“-ს უწოდებენ. ამ წყალს ძველთაგანვე კარგი სახელი აქვს განთქმული, როგორც საბანებელ წყალსა და ზაფხულობით დიდ-ძალი ხალხი ეტანება საბანებლად. ამ მდინარეზე ალაგ-ალაგ ქვის როფებიც არის ამოჭრილი. ეს რამდენიმე წელიწადია, ფერმის ხიდის მახლობლათ ამ ღელეზე გააკეთეს ფიცრების ფარდულები, რომლის რიცხვი თხუთმეტამდე ითვლება და შიგ ფიცრის საბანებლებია გაკეთებული. შიგ კი ბანაობს ავადმყოფიც და კარგადმყოფიც, ქრისტიანიც და ურიაც, ერთი სიტყვით, ყველანი, თუმცა ზემო აღნიშნული საბანებლების ანტისანიტარული მდგომარეობა აუწერელია. არ იქნება ურიგო, ვისიც ჯერ არს, დაათვალიერონ ეს საბანებლები და დაავალონ პატრონები, რომ ფიცრების როფებს ცინკა ან ჟესტი ამოაკრან, რითაც ცოტად მაინც დაცული იქნება სანიტარული პირობები. ეს საბანებლები გაკეთებულია ქალაქის ფარგალში და კარგს იზამს, რომ ეს ადგილები დაათვალიეროს ქალაქის ექიმმაც.

დაბა-სოფლები

სოფ. ურიათუბანი: ურიათუბანი უდიდესი სოფელია ქვემო მხარეს; მას კიდევ შეუერთეს მეორე ახლო მდებარე სოფელი შაშიანი და ორი სოფლიდამ 1901 წლიდამ შეადგინეს ერთი ურიათუბნის სოფლის საზოგადოება, რომელშიაც ითვლება 4,000-მდე მცხოვრები ორივე სქესისა. რასაკვირველია, ამოდენა ხალხის მოვლას და პატრონობას გამოცდილი და შესმენილი კაცი უნდა. ამიტომაც სოფლელთ, დარწმუნებულთ, რომ სოფლის საქმეს კარგათ წაიყვანსო, პირველადვე ამოირჩიეს რუსულად წერა-კითხვის მცოდნე კაცი, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. მამასახლისის ჯაჭვის ტარება ისე ადვილი არა ყოფილა წერა-კითხვის მცოდნესათვისაც, როგორც თვითონა ჰფიქრობდნენ. წელიწადზე მეტი ვერ შესძლო ახალმა მამასახლისმა თანამდებობის ჯაჭვის ტარება და გადასცა თავის კანდიდატს თ. შაქარაშვილს. მხოლოდ საერთო სოფლის ყრილობაზე კი თელავ-თიონეთის მაზრების მომრიგებელ-შუამავლის თავ. ჭავჭავაძის და თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თ. ჯანდიერის თანდასწრებით გლეხთ მიუღიათ მამასახლისობა მასვე, როგორც უფრო გამოცდილს და მხნე კაცს. ჯერ-ჯერობით ხელ ახლად ამორჩეული მამასახლისი შაქარაშვილი ასე იქცევა, როგორც შეეფერება სოფლის პატრონს ყველას, რაც კი შეადგენს სოფლის კეთილდღეობას, ყურადღებას აქცევს, როგორც გზების გაკეთებას, ისე ჭირნახულის შენახვას მინდორში და თვალყურს ადევნებს აგ-კაცებს, ამასთან ქსენონის დაარსებასაც ხელს უწყობს და სხვ. იმედია, შემდეგშიაც ასე განაგრძობს თავის სამსახურს, როგორც აქამომდე, და სვინიდისიერად ასრულებს თანამდებობას.

განმარტება.

პატივცემულ „ცნობის ფურცლის“ კორრესპონდენტს (იხ. 10 და 11 მაისის ნომრები), რომელსაც, თავის და სასახელოთ, მარტომ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ქუთ. გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარსული წლების ანგარიშის ცნობებისა და ციფრებისათვის, სხვა ჩვენებურ გამოცემათა კორრესპონდენტებთან შედარებით,—ჰგონია, რომ მე ვითომ შეძლება მქონდა ამხანაგობის პარკი აქ-ადგილობრივვე გამეყიდა ფუთი 58 მანეთად, მაგრამ არ გავყიდე.. ამის შესახებ ის სწერს: „ამხანაგობამ ს. კუხში 117 ფუთი ხმელი პარკი მიჰყიდა ადგილობრივ *) ვაჭარს 58 მანეთად ფუთი, იმ დროს, როდესაც საზღვარ-გარეთ ერთი ფუთი ხმელი პარკი ფასობდა 50 მანეთამდე: „ასე რომ, განაგრძობს კორრესპონდენტი, ბ. წერეთლის საზღვარ-გარეთ პარკის გაყიდვის სურვილს რომ არ გადაეჭარბებია და პარკი ადგილობრივად გაესაღებია—ამხანაგობა დიდს მოგებას ნახავდა“. მეორე ადგილს უფრო გარკვევით სწერს: „კიდევ არაფერი, თუ რომ ადგილობრივად გაეყიდა (წერეთელს) პარკი **იმ ფასებში, რა ფასებშიაც მან გაყიდა**“. ესე იგი, თუ რომ ყველა პარკი აქვე ფუთი 58 მანეთად გამეყიდა, ამხანაგობა მოიგებდა. ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ იყო განა ამ ფასებში ჩვენი პარკის მყიდველი, რომ მე უარი მეთქვა?? ცხადია, რომ აქ იმ 117 ფუთი პარკის გაყიდვას შეჰყავს შეცდომაში კორრესპონდენტი და მასთან ბევრი სხვაც და სწორეთ ამისთვის საჭიროთ დავინახე ამ განმარტების დასტამბვა, რასაც უმორჩილესათ გთხოვ პატ. „ცნ. ფურ.“ რედაქციას.

ეს 117 ფუთი პარკი გაიყიდა სრულიათ შემთხვევით წინა წლის აწეულ ფასებში—აი რისთვის. ვაჭარს ხ—ვს გაყიდული ჰქონდა „ჩასაბარებლათ“ (à livrer) ყვითელი პარკი წინა წლის ფასებში, მაგრამ ჩვენში ყვითელი პარკის მოუსავლობის მიზეზით, ის პარტია, რაც გაყიდული ჰქონდა, ვერ შეაგროვა. ამხანაგობასაც ორიათას ფუთ პარკში მარტო 117 ფუთი ყვითელი პარკი ერია. მოხსენებულმა ვაჭარმაც, მყიდველ-

---

*) ეს ადგილობრივი ვაჭარი ერთი უმთავრეს საზღვარგარეთ პარკის გამზიდავთაგანია.

ლმე, ეს ცრუმორწმუნეობა უვნებელია. უკანასკნელთა რიცხვი უფრო მომეტებული, ვიდრე პირველთა მეორე ჯგუფთა ცრუმორწმუნეობანი რომ დარჩეს კიდეც, არა უშავსრა, რადგანაც მათ არაფერი ზარალი არ მოაქვთ. ის ცრუმორწმუნეობანი-კი, რომელთაც მოაქვთ მატერიალური ანუ ზნეობრივი ვნება, უნდა მოისპონ, მხოლოდ, როგორათაც ზემოთ მოვიხსენიეთ, პოლიციის შემწეობით-კი არა, არამედ სხვა გონივრული საშუალებით, მაგ. ხალხის გაცნობით იმ ისტორიასთან, რომელმაც დაბადა ესა თუ ის ცრუმორწმუნეობა, თუ ბუნების მოვლენის მიზეზებთან, თუ მათ ერთმანეთში ექნება რაიმე კავშირი. ზოგი-ერთ ცრუმორწმუნეობას ხალხში ღრმადა აქვს ფესვი გადგმული, ამიტომ მათთან საბრძოლველად დიდი მორიდება და მოთმინებაა საჭირო. ხმამაღლა გაკიცხვით და ძალით მისი მოსპობა არ შეიძლება. სასტიკი საშუალება მათ-კი არ მოსპობს, შეჰქმნის უხილავად, დაამუდებს სახლში და უფრო მაგრა მოაკიდებინებს ფეხს. ბ. არჩილ ჯორჯაძემ „ცნობის ფურცლის“ № 1773-ში მოათავსა წერილი „პროვინციელ კორრესპონდენტთა საყურადღებოთ.“ პირადათ ჩვენ მით უმეტეს ვეთანხმებით მისს წერილს, რომ ჩვენ თითონ სწორედ ამავე შინაარსის წერილი გვქონდა მოთავსებული შარშან „სასულიერო მახარებელში“. ბ. ჯორჯაძის წერილს ისიც უნდა მიუმატოთ, რომ მეტი არ იქნება მოიკრიბოს ხალხში ცრუმორწმუნეობანი. ვინც გაცნობილია კამილლ ფლამმარიონის შრომასთან—„Область невѣдомаго и психичесскія загадки **), მას კიდეც ეცოდინება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის ხალხში შეკრებილ ფაქტებს შესახებ მიცვალებულების ტელეპატიურ გამოცხადებისა, მოჩვენებებისა, გალლიუცინაციებისა, მკითხაობისა, რელიგიური რწმენისა, სიზმრებისა, ცრუმორწმუნეობისა და სხ. ჯერ-ჯერობით მათს გაკიცხვას და აღმოფხვრას, შეკრება უნდა სჯობდეს.

III

ერთი რამ კიდევ ამოგვიჩემებია ჩვენ, ავუკრძალოთ ხალხს დღესასწაულებში ლხინიო. დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში ხალხმა ათასნაირი თავის შესაქცევები გამოიგონა, ყველამ ვიცით ამერიკელები რამდენ ფულსა ხარჯვენ, რომ ისიამოვნონ, თავი გაირთონ. ქართველებს შეძლება არ გვაძლევს ნებას, რომ მათ წავბაძოთ. წინაპრებისაგან ჩვენ დაგვრჩენია ერთად ერთი თავის გასართობი—ხატობა, სადაც ყველა მასპინძელია, ყველასას აქვს ნება მივიდეს დაუპატიჟებლად და მიიღოს სულიერი და ხორციელი კმაყოფილება. ნუ თუ ეს ჩვეულებაც უნდა მოვსპოთ და ისიც პოლიციის ძალით? თუ შენ, ამ ჩვეულების წინაამდეგო, განათლებული და შეგნებული კაცი ხარ, ისიც უნდა გესმოდეს, რამდენად სასარგებლოა ხალხისათვის შეყრილობა, და თუ შენ ამბობ და სწერ ამ ჩვეულების წინაამდეგ მარტო მისთვის, რომ შენზედაც იგივე ითქვას, რაც ერთხელ მეფე საულზედ—„საულიც წინასწარმეტყველებსო“,—ეს სხვა არის... უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ თუ ხალხს აეკრძალა დღეობებში ლხინი, ის თანდა თან იკლებს სიარულს და ბოლოს, შესაძლოა, იქ აღარც კი ვინმემ გაიაროს. მერე რაღა უნდა მივსცეთ საბაღლოდ, ისეთი სხვა რა უნდა გამოვიგონოთ, რომ ხალხს არ მოესპოს საშუალება ერთმანეთის გაცნობისა? ძალიან ძნელია ამაზედ პასუხის მიცემა. ხატობრისებრივ ჩვეულებას ჰბადვენ საუკუნოები და არა პროექტები და კალმის მოსმა. მართალია, ხალხს სამლოცველოებში სიარულით ხარჯი მოსდის, მაგრამ სამაგიერო კმაყოფილებასაც იღებს და, ეს რომ ასე არ იყოს, ხატობა დიდი ხანია მოისპობოდა. ზოგნი ამბობენ და სწერენ, დეე ხალხმა სალოცავებში იაროს, მხოლოდ არ შეშვენის ეკკლესიის სიწმიდეს, რომ მის მახლობლად კაცმა ხორციელად ისიამოვნოსო, მაგალ. იმღეროსო, საკრავები დაუკრანო, ითამაშონო და სხ. ამისთანა შეხედულობა მოგვაგონებს იეზუიტობას. ღმერთი ამბობს—„ცა ჩემი ტახტიაო და დედამიწა ფეხთსადგმელიო“, მაშასადამე არც სხვა დედამიწის კუთხეებში შეიძლება მხიარულობით დროების ტარება, რადგანაც იგი ყველგანმყოფია. ცუდი ყველგან ცუდია: გინდ ეკკლესიის მახლობლად და გინდ მის დაშორებით. ნუ თუ ის კარგი იქნება, რომ, ვ. ბარნოვისა თქმისა არ იყოს, მლოცავს პირს ღიმი გაუქრის და ცხვირ ჩამოშვებულმა იაროს სალოცავში! *) დღესასწაულობა ყველა ერმა იცის და ყველა მათგანს რაიმე ჩვეულება აქვს: მაჰმადიანები ლოცვის დროს ყალიონსა სწევენ და ჩაის სმენ, ისპანიელები ეკსიებთან მამლებს აძიძგილავებენ და ხარებს აბრძოლებენ, ერთმანეთთან ანუ თითონ ებრძვიან მათ, გერმანელები საყდართან ლუდსა სმენ და შეზარხოშებულნი „ავგუსტინასაც“ კი მღერიან ხოლმე (ჩვენ თითონ დავსწრებივართ) და სხ. და სხ. ჩვენი ერი კი დღესასწაულებში ისევე ლხინობს, როგორც ქორწილში. მშვენივრებაა! მარტო ფარისეველთაგან უნდა იყოს ეს დასაწუნი. ქართველები, როდესაც ლომისობიდან, სამებობიდან ანუ სხვა დღეობებიდან ბრუნდებიან სახლში, ხშირად იგონებენ ხოლმე გატარებულს დროებას: „ვენაცვალე ლომისის მადლსა—ამბობენ იგინი,—კარგათ ვადიდეთ მისი სახელი თუ მშვიდობით დავესწარით, საკულაოთ უფრო ვადიდებთ“.-. აქ საყურადღებოა ქართველების რწმენა: იმათა ჰგონიათ რამდენათაც მეტს ვილხენთო, იმდენად მეტს ვადიდებთ და ვასიამოვნებთ წმინდანსაო. შეიძლება ეს ასე იყოს? შეიძლება. ერი მიდის სალოცავად, ვსთქვათ მაგალითად, სამებაში, ის იქ ლოცულობს ღმობიერად და შემდეგ ლხინობს, დარწმუნებული, რომ წმიდანმა შეიწყნარა მისი ვედრება. დასასრულ ვურჩევთ დღესასწაულებში დროების ტარების მოწინაამდეგეთ წაიკითხონ საგულისხმოდ ლ. ტოლსტოის მოთხრობა—„Трое насъ, трое васъ, помилуй насъ“ (სამნი ჩვენ, სამნი თქვენ, შეგვიწყალე ჩვენ).

ილარ. ჯაში

**) იხ. „Вѣстникъ иностранной литературы“ №№ 6—12, 1900 г.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ სურ. დამატ. № 30.

თათვის რომ პირობა შესრულებაა, აიღო და ამხანაგობიდან იყიდა ეს მცირე პარტია თითქმის იმავე ფასათ, როგორც გაყიდული ჰქონდა. თითონ ეს ფაქტი მოწმობს, რომ მე პრინციპიალურათ ადგილობრივ პარკის გაყიდვის წინააღმდეგი არც ვყოფილვარ ჲ არც ვარ. და თუ საზღვარ-გარეთ ვყიდიდი პარკს, ეს გამოწვეული იყო მარტოთ-მარტო იმ „სურვილით“, რომ ფასი მეტი აგვეღო. კიდევაც, სანამ საქვეყნო ბაზარი ამ საქონლისა იქ არის, სანამ ჩვენში ძაფის ქარხნები არ გაიხსნება და ძაფს მოსკოვისკენ არ დაუწყებენ გზავნას, მანამდის ადგილობრივი ვაჭრები ყიდულობენ და იყიდიან პარკს საზღვარგარეთში გასატანათ.. მანამდის აქ პარკს არას გზით მეტი ფასი არ ექნება, ვინემ საზღვარგარეთ, სადაც აუარებელი ქარხნებია პარკის ძაფათ დასამუშავებლათ, ხოლო პარკი ერთობ მცირე მოდის, შედარებით.

ნ. წერეთელი.

უცხოეთის წვრილი ამბები

წვერის გამო. პარიზელი გაზეთები მოგვითხრობენ ერთს სასამართლოში მომხდარს ამბავს.

პრეზიდენტის წინ წასდგა მოხუცი გრძელის თეთრის წვერით, რომელმაც თხოვნა მიართვა პირველი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებაზე. მოხუცს ორის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს იმის გამო, რომ ქუჩაში მოწყალებას თხოულობდა.

— ახლა რა გინდათ? ჰკითხა იმას პრეზიდენტმა.

— მე მხოლოდ გთხოვთ, ჩემი წვერი დაიფაროთ. — უპასუხა გლახაკმა.

— ღვთის გულისათვის, ამიხსენით, გამაგებინეთ, რაშია საქმე,—უთხრა გაკვირვებულმა პრეზიდენტმა,

— აი რაში გახლავთ საქმე,—დაიწყო გლახაკმა,— საღამოობით მე მოწყალებას ვთხოულობ, დღით კი ლუკმა პურს ვშოულობ იმითი, რომ მხატვრებთანა ვზივარ ხოლმე, რომლებიც ჩემ სახეს იღებენ წმინდა მამების სახის დასახატავად. უკეთუ პალატა არ გააუქმებს ჩემს დაპატიმრებას ორის თვით, სულ დავილუპები, მე ციხეში უნდა გამგზავნონ, სადაც საპატიმროების წესის ძალით წვერი უნდა მომპარსონ.

აქ მოხუცს გამოეშველა მისი ვექილი.

— ჭეშმარიტი გახლავთ,—სთქვა იმან,—მაკრატლის მიკარება სასტიკი სასჯელი იქნება ბრალდებულისათვის. არ შეიძლება, რომ ეს ეს როგორმე აიცილოს თავიდან...

— მე ამის საწინააღმდეგო არა მაქვს-რა,—სთქვა პრეზიდენტმა,—მაგრამ როგორ მოვახერხო?

— მოიფიქრეთ, ბ. პრეზიდენტო,—უთხრა მუდარებით მოხუცმა,—და თქვენ იპოვით სახსარს. კიდევ გემუდარებით, დაიფარეთ ჩემი წვერი...

პატარა მოფიქრების შემდეგ პრეზიდენტმა, რომელიც პარიზში ცნობილია ძალიან ჭკვიან და გაგებულ კაცად, ამნაირად გადასწყვიტა:

— თქვენ გადაგიწყვიტეს ორის თვით დაპატიმრება, თქვენ ერთი თვე იჯექით კიდეც კერძო საპატიმროში, ეხლა პალატა თქვენს საქმეს გადასდებს კიდევ ერთის თვით, და როდესაც თქვენ წარმოსდგებით სასამართლოს წინაშე, თქვენი დასჯის ვადა შესრულებული იქნება. ამ რიგად ციხეში არ წახვალთ, არც ციხის მაკრატელი მიეკარება თქვენს წვერს და ხელშეუხებელი დარჩება.

მოხუც-გლახაკმა არ იცოდა, როგორ ეთქვა მადლობა, ხოლო საზოგადოებას გული აღუძრა პრეზიდენტის ასეთმა გონივრულმა მოქცევამ.

* *

ახირებული სანაძლეო. ერთმა ავსტრიელმა ანტონ განსლაუმ სანაძლეო ჸდასდო 20,000 ფლორინი, რომ ფეხით გაივლის მთელს ევროპას—პატარა ეკიპაჟში შებმული, რომელშიაც ისხდებიან იმისი ცოლი და ქალი. განსლაუ ამ ჟამად უკვე ბერნშია, სადაც ჟენევიდან მოვიდა. სექტემბრის დამდეგს, იმას იმედი აქვს, ვენაში იყოს, აქედან გასწევს რუსეთისკენ.

სწორედ ახირებული სანაძლეოა! ეტყობა, იმისი ცოლი და ქალი რამე ბურბუშელები არიან, თორემ, თუ შეხვდებოდა ერთი ათ-ფუთიანი დედაკაცი, ნახამდა მაშინ თავის წელის მოწყვეტას.

* *

მოტყუებული საცოლო. ამ დღეებში ბრიუსელში ირჩეოდა ერთი საინტერესო საქმე, რომელიც ნათლად ხატავს ბელგიელ არისტოკრატიის ზნე-ხასიათს.

გრაფინია ანტუანეტა დე ფიკელმონმა, რომელიც წინად დანიშნული იყო გრაფ ს...ზე, მიატოვა ის მას შემდეგ, როდესაც სასახლის ბალში ნახა გრაფი ფრედერიკ ულპერემონი. ეს გრაფი რამდენიმე თვის წინად დაქვრივდა და ცოლის შემდეგ დიდძალი შეძლება დარჩა იმის მზითვისა.

გრაფი ფრედერიკი და გრაფინია ანტუანეტა დაინიშნენ. მომავალ ქორჩინებაზე ოფიციალურად მოახსენეს მეფეს, ფლანდრიის გრაფს და პაპის წარმომადგენელს. ახალგაზდა ქალი წარუდგინეს გრაფ ულპერემონის დედას და მთელს იმის სახლობას. ხუთ მაისს 1898 წელს შესდგა სადღესასწაულო სადილი დანიშვნის გამო, ხოლო ქორწილი 16 თიბათვისთვის დანიშნეს.

მაგრამ, როგორც ახალგაზდა გრაფინიას ვექილმა განაცხადა, გრაფ ფრედერიკის ოჯახობას ეშინოდა, რომ მთელი ქონება რძლის ოჯახში გადავა და ამიტომ უნდოდათ გრაფისაგან მიცემული სიტყვა გაეუქმებინათ და ამგვარად ქორწილი ჩაეშალათ.

როგორც იყო, ოჯახობამ დაიყოლია გრაფი, რომ ბელგიიდან დიდის ხნით წასულიყო ის საზღვარ გარედ სამოგზაუროდ.

როდესაც ის სახლში დაბრუნდა, მიჰყო სმას ხელი, ძალიან ლოთობდა და ცოტა ხნის განმავლობაში ჭკუაზედაც შეირყა, რის გამოც თავისიანებმა სულით ავადმყოფთა თავშესაფარში დააბინავეს ბონნაში, იქიდან კიდევ სხვა თავშესაფარში გადაიყვანეს.

ამის შემდეგ ახალგაზდა გრაფინია მარტო იმას ფიქრობდა, როგორმე ენახა გრაფი. მაგრამ გრაფის ოჯახობას ფრთხილი თვალ-ყური ეჭირა, და გრაფინიას ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა.

ამ ჟამად გრაფინიას ერთად ერთი აზრი აქვს, აღადგინოს თავის უფლებანი და სამოქალაქო წესით გრაფის ოჯახობისაგან ითხოვს 2,500 ფრანკს, რომელიც იმისთვის არაფერს არ შეადგენს, ჯილდოდ შეურაცხყოფისათვის.

თავის საჩივარს გრაფინია ასე ასაბუთებს:

ის შეურაცხჰყეს პასუხის მგებელთ, რომელნიც იმაზე ცუდ ხმებს ავრცელებდნენ; იმათ აიძულეს გრაფი, რომ ქალს მოშორებოდა და მიმალულიყო მას შემდეგ, როდესაც ისინი დანიშნულებად იყვნენ აღიარებულნი; ამასთან ცუდად ეპყრობოდნენ გრაფს, როდესაც ის ბონნის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში იყო და, ბოლოს, ის საქციელი გრაფის ოჯახობისა, რომ ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ ქალს არ ენახა გრაფი, რომელიც ეხლა ლუვენის საავადმყოფოშია.

მთელი ბრიუსელის საზოგადოება მოუთმენლად მოელის, რითი გათავდება ეს საქმე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 მაისი

პეტერბურგი. სატარიფო კომიტეტმა, რომელიც დღეს იხილავდა დაკლებული ტარიფის დადგენილებაზე კითხვას დონეცკის ნახშირზე, რომელიც თეოდოსიის—ნავთსადგურზე გააქვთ, გადაწყვიტა, ეს კითხვა გარდაეცეს რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო კრებას განსახილველად.—28 მაისს პეტერგოფის დიდს სასახლეში საგვარეულო სადილი გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი, ბოლგარიის მთავარი და დიდნი მთავარნი.—29 მაისს, დილის ცხრა საათზე გემ „ალექსანდრათი“ ბოლგარიის მთავარი პეტერბურგში მოვიდა. საიმპერატორო ნავთსადგურზე მთავარს პურ-მარილი მიართვა ქალაქმა.

ვარშავა. გროდნოს გუსარის პოლკის დეპუტაცია ბერლინში წავიდა, რომ საფლავზე ვერცხლის გვირგვინი დაადოს პოლკის უფროსად ნამყოფს პრინც ალბერტ ალტენბურგელს.

არხანგელსკი. ცივმა გაზაფხულმა შეაფერხა ბალახისა და პურის ამოსვლა. თეთრ ზღვაში ბევრი გემი შეაჩერა ყინულმა.

ყაზანი. ყაზანის საბირჟო კომიტეტი ამ დღეებში მთელის ბაქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭოს სტატისტიკური ბიუროს გამგეს ისტომინსა და იმის თანაშემწეს ფლეროვსა, რათა შეისწავლონ ახლანდელი პირობები ნავთის ნაწარმოებთა გადატანისა, შენახვისა და გასაღებისა.

ტუნისი. ბეი გარდაიცვალა.

ლონდონი. ცნობებით, მოლაპარაკება მაზე, როდის შეუდგნენ კანტონ-ხანკაუნის რკინის გზის მუშაობას, რიგიანად გათავდა.

ვენა. პარლამენტის სხდომის ბოლოს რადიკალმა იალოვეცმა (ჩეხი) აღიაქოთი გამოიწვია. მიუთითა რა იმპერატორ ვილჰელმისგან მარიენბურგში წარმოთქმულს სიტყვაზე, იმან დაჰგმო იმპერატორი და ასე გაათავა თავისი სიტყვა: „ფუ, ჰოჰენცოლერნო“. პრეზიდენტმა მოაგონა ორატორს წესიერება, ლაპარაკის ნება არ მისცა და, რადგანაც ხმაურობა არა სცხრებოდა, სხდომა დახურა.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. დეკლარაცია ამბობს: „მთავრობას ეხსომება, რომ უფრო ხელმოჭერილი იყოს ხარჯებში და მხარი დაუჭიროს ნაციონალური კრედიტის სასურველ მდგომარეობას. არსებული გარდასახადები უნდა შეიცვალოს შემოსავალზე გარდასახადით, რომელიც უნდა შეუფარდონ ყოველი კაცის ღონისძიებას და გარდახდის სახსარს. მთავრობა წარუგზავნის სენატს ორი წლის სამხედრო ბეგარის პროექტს და დადგენილებათა სამხედრო გასამართლებისა, აწინდელის კანონმდებლობის ძალით, შეიმუშავებს კითხვას რკინის გზების გამოსყიდვაზე სახაზინოდ და აგრეთვე მუშების დაზღვევაზე სიბერის დროს“.

ნოვო მარგელანი. მთელს ფერგანში არაჩვეულებრივი პური მოსავალია. ნათესი ადგილები ჩვეულებრივზე სამჯერ მეტია. მომკლები ცოტანი არიან.

პეტერბურგი. ბოლგარიის მთავარი ნავთსადგურიდან პეტრე-პავლეს ტაძარში წავიდა, სადაც იმპერატორების ალექსანდრე მეორის და ალექსანდრე მესამის საფლავები ნახა; ალექსანდრე მეორის საფლავზე ვერცხლის გვირგვინი დასდო ზედ წარწერით, რომელშიაც გამოთქმულია მადლობა მეფე—განმანთავისუფლებლისადმი, მეორე გვირგვინი ალექსანდრე მესამის საფლავზე დასდო და მესამეც—მემკვიდრის გიორგი ალექსანდრეს ძის საფლავზე; მთავარმა აგრეთვე პატივი სცა დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უფროსის საფლავს. შემდეგ ამისა მთავარი სანახავად იყო იმპერატორის გვარეულობის პირებთან, დიდ სახელმწიფოთა ელჩებთან და მიტროპოლიტ ანტონისთან; შემდეგ მოვიდა ბოლგარიის დიპლომატიურს სააგენტოში, სადაც გამართული იყო სადღესასწაულო საუზმე, რომელსაც მინისტრები დაესწრნენ. მთავარმა ადღეგრძელა დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული იმის დაბადების დღის გამო; გრაფ იგნატიევმა მთავრის სადღეგრძელო დალია. საუზმის შემდეგ მთავარი ერმიტაჟში წავიდა, სადაც მას შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა ქალაქის წარმომადგენლები. ქალაქის თავი მიესალამა მთავარს და მიართვა მშვენიერი ვერცხლის აზარფეშა. მთავარმა მადლობა უთხრა და სთქვა: „მე განსაკუთრებით მესიამოვნება პეტერბურგის წარმომადგენლების ნახვა ამ წელს, როდესაც საუკუნის მეოთხედი შესრულდა, რაც ჩვენმა ძმებმა რუსებმა სიცოცხლე შესწირეს და იბრძოდეს მართლმადიდებელ ბოლგარელ ხალხთა თავისუფლებისათვის, რის გამოც ბოლგარელები საუკუნოდ მადლობელნი იქნებიან“. შემდეგ მთავარი პეტერგოფში წავიდა, სადაც დიდს სასახლეში სადღესასწაულო სადილი იყო გამართული.

ლონდონი. პოლკოვნიკი ლინჩი, პარლამენტის წევრი, რომელიც ბურებთან ერთად იბრძოდა ინგლისელების წინააღმდეგ, დაატუსაღეს დღეს, როდესაც გემი ნიუგევენში მოვიდა.

ვენა. პარლამენტის სხდომაზე პრეზიდენტმა სინანული გამოსთქვა გუშინდელი ამბის გამო. მინისტრ—პრეზიდენტმა კერბერმა მტკიცე სიტყვებით გაჰკიცხა უცხო სახელმწიფოს მეფის შეურაცხყოფა. (ტაშის ცემა. მხოლოდ მარტო ჩეხებმა—რადიკალებმა ასტეხეს ხმაურობა).

ხარკოვი. ჩუგუევის ბანაკში ცეცხლი გაუჩნდა სევსკის პოლკის ნივთების საწყობს. დაიწვა შენობა, რომელშიაც პოლკის ნივთები იყო, აგრეთვე შენობა, რომელშიაც თოფის პატრონები ინახებოდა, პატრონების სროლა ცეცხლის გაქრობას უშლიდა. ხალხი არ დაზარალებულა.

პარიზი. „ფიგარო“ აცხადებს, რომ საფრანგეთი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს, რომ ელზას-ლოტრენი მას ეკუთვნოდა, მაგრამ ის კმაყოფილია იმითაც, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის კეთილი განწყობილება დამყარდა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,40	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	292	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88⅜	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83¼	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅝	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	182	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ფეცის
მუზეუმი,
ხალხის თხოვნისამებრ დაჰყოფს 5 ივნისამდის, ბევრი ახალი რამ მოემატა, სხვათა შორის ცნობილი სურათი **ნანა.** მუზეის დათვალიერება და წარმოდგენაზე დასწრება ღირს მარტო **10** კაპ. (2—326—1)

21 მაისს,
ტფილისიდან დუშეთში მიმავალ გზაზე
დაიკარგა პორტმანი,
მწვანე ტყავისა, ფულებით, ალმასრულ. ფურცლებით და სხვ. ვინც იპოვა, მას უმორჩილესად ვსთხოვ მოიტანოს ამ ადრესით: ბაქოს ქუჩა, თავ. თუმანოვის სახლში, № 7.
ვინც მოიტანს აღნიშნულ დოკუმენტებს, ის, იმ ფულების გარდა, რომელნიც პორტმონეში იყო, კიდევ **შესაფერ ჯილდოს მიიღებს.**

„უქნიე ნომერა“
(ბარონის ქუჩაზე, მანთაშევის სახლში)
სრულიად ახლად გადაკეთებულია, ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის ახლო. ნომრები 60 კაპ. დაწყებული; თვიურად—15 მან. და მეტი. სისუფთავე და კარგი წეს-რიგი. (6—5)

სტუდენტი
ამზადებს გიმნაზიებისათვის, სათავად-აზნაურო, სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლებისთვის. მეორე თუმანოვის ქუჩა, № 21. (3—3)

ქ. ბათუმში
იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**
ას. პელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის ირდაპირ. (0—24)

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 Мая 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.